დანართი

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2019 წლის 30 აპრილის N48 33 განკარგულებით.

ა.(ა).ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების“

ა ნ გ ა რ ი შ ი

2018 წლის 12 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ტყიბული
2019

ა.(ა).ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება“ (შემდგომში, გაერთიანება) ფუნქციონირებს 2018 წლის აგვისტოდან. წარმოდგენილ დოკუმენტში ასახულია როგორც რეორგანიზაციის დასრულებამდე, ისე რეორგანიზაციის შემდგომ განხორციელებულ აქტივობათა ნუსხა და მათი აღწერა.

2018 წლის იანვრიდან - 2018 წლის აგვისტომდე განხორციელებული აქტივობები/ღონისძიებები:

სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები

- 2018 წლის 6 იანვარს სოფელ საწირის კულტურის სახლმა მოაწყო საშობაო თეატრალიზებული მსვლელობა, სახელწოდებით - „ალილო“
- სოფელ გელათის N1 კლუბში 26 იანვარს ჩატარდა წმიდა ნინოს ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ,,მოდიოდა ნინო მთებით“
- სოფელ გურნის კლუბში 8 თებერვალს ჩატარდა თემატური საღამო - ,,დავით აღმაშენებელი“
- სოფელ საწირის კულტურის სახლში 8 თებერვალს გაიმართა მუსიკალურ–ლიტერატურული კომპოზიცია - ,,დავითობა“
- სოფელ ორპირის კულტურის სახლში 22 თებერვალს გაიმართა ტერენტი გრანელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო
- მარტის თვეში ყველა სასოფლო კლუბსა და კულტურის სახლში ჩატარდა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები
- 9 აპრილს მოეწყო მსვლელობა 9 აპრილის პარკში.
- 16 აპრილს საწირის კულტურის სახლში ჩატარდა ლიტერატურული საღამო - ,,ო, ენავ ჩვენო“
- ძმუისისა და სოჩხეთის სასოფლო კლუბებში, 17 აპრილს, დედაენის დღეს მიეძღვნა ღონისძიება ,,ენა დედაა ერისა“
- 9 მაისს სოფელ საწირის კულტურის სახლში გაიმართა შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანთან
- 24 მაისს, სოფელ საწირის კულტურის სახლში - დღის განმავლობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტულ გამაჯანსაღებელი და ლიტერატურული ღონისძიებები მოეწყო
- 24 მაისს, სოფელ ორპირში - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა
- 25 მაისს, სოფელ ცუცხვათის კლუბში – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო მოეწყო
- 26 მაისს, ძმუისის სასოფლო კლუბში – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო - ,,მშობლიურო ჩემო მიწავ“ მოეწყო
- 1 ივნისს საწირის კულტურის სახლში მოეწყო ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება , კონკურსი ხატვაში მუსიკის თანხლებით - ,,მე ვხატავ სამყაროს“
- 22 ივნისს ორპირის კულტურის სახლსა და ბიბლიოთეკაში გაიმართა საკონცერტო პროგრამა, ბავშვთა დილა - ,,ჩვენი მომავალი“

საბიბლიოთეკო ქსელში

- ყოველი თვის ბოლო ორშაბათს, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ეწყობა ტრენინგი ბიბლიოთეკარებისათვის
- N2 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა დავითობისადმი მიძღვნილი თემატური საღამო - ,,ყოფილა დავით მეფე აღმაშენებელი“
- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა N2 საბავშვო, N3 ახალგაზრდულ და N5 საქალაქო ბიბლიოთეკებში
- N1 და N2 საბავშვო ბიბლიოთეკებში ჩატარდა თემატური საღამო - ,,9 აპრილის გმირები“
- N5 საქალაქო ბიბლიოთეკაში 15 მაისს გაიმართა შეხვედრა ბენეფიციარებთან - ,,ვაჩუქოთ ერთმანეთს ერთი ლამაზი დღე“.
- 1 ივნისს N5 საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო ნინოობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია - ,,მოდიოდა ნინო მთებით“
- სასოფლო ბიბლიოთეკები ერთვებიან სასოფლო კლუბებში ჩატარებულ ღონისძიებებში

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

- 19 მაისს მოეწყო მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ყოველწლიური აქცია - ,,ღამე მუზეუმში“

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი:

- 16 იანვარს ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე ჩატარდა საშობაო ზღაპარი - „გრინჩი“
- 15 თებერვალს ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე ჩატარდა სპექტაკლი - „მადლის წვიმა“
- 6 მარტს ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე გაიმართა დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი
- 26 მაისს ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 27 მაისს ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენა დაეთმო სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსულ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს მიუზიკლის „მაუგლი“-ს ჩასატარებლად
- 13 ივნისს ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე ჩატარდა სპექტაკლი „ჯვარი ვაზისა“
- 26 ივნისს ჩატარდა სასწავლო-შემეცნებითი გაკვეთილი ფოკაში „წმ. ნინოს ნაკვალევი“ თეატრ-სტუდიის აღსაზრდელთათვის

მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა:

- 2018 წლის 20 თებერვალს სკოლის საფორტეპიანო განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ქუთაისში მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-2 საერთაშორისო ფესტივალში და დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომით

- 02 მარტი - სკოლის საკონცერტო დარბაზში შედგა პირველი კლასის მოსწავლეთა კონცერტი - „პირველი ნაბიჯები“

- 7 მარტი - “დედებისა და შვილების საკონცერტო ვოიაჟი“; ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სკოლის მოსწავლეების მშობლებმა, თავიანთ შვილებთან ერთად

- 26 მარტი - საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თაოსნობით თბილისის “არტ ჰოლში“ გაიმართა ფესტივალი „გაზაფხული“. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სკოლასთან არსებულმა ანსამბლმა „ლილემ“. ხელმძღვანელი სოფო სირბილაძე. მოსწავლეები სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ

- 19-20 აპრილს ჩატარდა ჩათვლები ფურცლიდან კითხვაში, გამებსა და ეტიუდებში

- 27 აპრილი-კონკურსი პოლიფონიურ ფორმაში, - გამარჯვებულ მოსწავლეებს მუსიკალურ კვირეულზე გადაეცათ სიგელები

- 17 მაისი- პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებითი საღამო

- 22 მაისი-ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი საღამო

- 24-25 მაისი-დახურული კონცერტი

- 28-31 მაისი-მუსიკალური კვირეული (წარმოდგენილი იქნა საფორტეპიანო, საორკესტრო, ხალხური, საგუნდო, ქორეოგრაფიული განყოფილებები)

- ივნისში შედგა გამოცდები სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებისათვის

- 9 ივნისი-მისაღები გამოცდები

- 12 ივნისს ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში გამართულ ქორეოგრაფიულ ფესტივალში

- 14 ივნისს სკოლის საკონცერტო დარბაზში მოწმობები გადაეცათ მე-6 კლასის მოსწავლეებს, ხოლო კონცერტის შემდეგ გაიმართა ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახელობის N2 სამუსიკო სკოლის კონცერტი. კონცერტის შემდეგ აღნიშნულ სკოლასთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი ხელს შეუწყობს პედაგოგთა ურთიერთ გამოცდილების გაზიარებას, გაცვლითი კონცერტების ჩატარებას

- 15 ივნისს ქალაქ ქუთაისში საბალეტო კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონცერტში, რომელიც გაიმართა ხელოვნების ცენტრში

ა.(ა).ი.პ ტყიბულის ტურიზმის განვითარების ცენტრი:

- ცენტრმა უმასპინძლა ტურისტულ ჯგუფებს რუმინეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან და რუსეთიდან
- ასევე ტურიზმის სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისში და თბილისში გამართულ კომფერენციებში,სადაც წარმოდგენილი და ნაჩვენები იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების ვიდეო და ფოტომასალები
- ტურიზმის განვითარების ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს, მუნიციპალიტეტში არსებულ საოჯახო სასტუმროთა მესაკუთრეებთან, ღვინის კომპანიასთან, თაფლის მწარმოებლებთან, ტყიბულის ჩაის მწარმოებლებთან და გიშრის ნაკეთობების მწარმოებლებთან, რაც ხელს უწყობს ტურისტთა ინფორმირების ზრდას, მუნიციპალიტეტზე

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა:

- თებერვლის თვეში მოეწყო შიდა სასკოლო გამოფენა - ,,საშობაო არდადეგები", სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო ნამუშევრები მათ შორის პეიზაჟები, კომპოზიციები. ნახატებში ძირითადად ასახული იყო ზამთრის დღესასწაულები
- მარტის თვეში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი შიდა სასკოლო გამოფენა. დამთვალიერებლების წინაშე წარმოდგენილი იყო ზეთის საღებავებით შესრულებული კომპოზიციები, ნატურმორტები ყვავილებით და გაზაფხულის თემაზე შესრულებული ნახატები
- აპრილის თვეში გამოფენა თემაზე ,,ჩემი ქალაქი". აქ წარმოდგენილი იყო ძირითადად ქალაქის ხედები, პეიზაჟები, კომპოზიციები, გამოყენებული იქნა ზეთი, აკვარელი, გუაში, მუყაო და თიხა
- 26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ძირითადად გრაფიკა, კომპოზიციები და ფერწერული ტილოები. წარმოვადგინეთ თექისა და აბრეშუმის ქსოვილზე შესრულებული ნამუშევრები
- 10 ივნისს მოეწყო 2018 წლის კურსდამთავრებულების გამოშვება, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს 4 წლის განმავლობაში შესრულებული ნამუშევრების შემაჯამებელი ჩვენება. გამოყენებით ხელოვნებაში შემოვიტანეთ სიახლე, გამოფენაზე გამოფენილი იქნა მოსწავლეების მიერ შესრულებული ვიტრაჟები.

ა.(ა).ი.პ. შოთა რუსთაველის სახელობის მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლე:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს პრეზიდენტისა და სექციების ხელმძღვანელთა არჩევნები
- შემეცნებით თამაშობათა კაბინეტისა და ნორჩ ბუნებისმოყვარულთა წრის მიერ ინტეგრირებული აქტივობა ,,ვინ მეტი იცის"
- ანსამბლმა ,,სიჭაბუკემ" ცეკვით ,,აჭარული" მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისში გამართულ ხალხური ცეკვების ფესტივალში - ,,შემოდგომის იმერეთი"

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს ჩამოყალიბების შემდეგ თვითმმართველობის წევრებმა სექციების მიხედვით მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით გაშალეს და ჩაატარეს საქალაქო პირველობა კალათბურთში ,,კალათბურთი გვაერთიანებს“. გამარჯვება N1 საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა. გუნდის წევრები ფასიანი საჩუქრებით (ბურთებით) დაჯილდოვდნენ
- ერუდიტთა სექციამ მოაწყო კროსვორდების კონკურსი
- ,,გავუფრთხილდეთ ბუნებას“–ეკოლოგიის სექციის წევრებმა იმსჯელეს ეკოლოგიის საჭირბოროტო საკითხებზე –სასახლის უკანა ტერიტორიაზე ეროზიული ფერდობების განაშენიანებისათვის
- შემოქმედთა სექციამ უმასპინძლა ნორჩ მხატვრებსა და კალიგრაფისტებს– მოეწყო ნახატებისა და ნაწერების გამოფენა
- ეკოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის შეიქმნა და საზეიმოდ გაიხსნა ახალი სივრცე–ეკო–ჰაბი
- ჩატარდა ტრადიციული ინტელექტუალური თამაშის ,,რა, სად, როდის?“ დასკვნითი ტური
- შემეცნებითი, გონივრული გართობისა და სპორტული თამაშების კაბინეტმა უმცროს კლასელთათვის მოაწყო მხიარული სტარტები ,,ვინ უფრო სწრაფად“ და ვიქტორინა ,,ვინ მეტი იცის?“
- სხვადასხვა მიმართულებებით აღინიშნა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღი ,,ილია 180“. მოეწყო ლიტერატურულ–შემოქმედებითი ფესტივალი, კერძოდ: ,,ვკითხულობთ ილიას“ –საქალაქო კონკურსი ილიას პოეზიისა და პროზის ნიმუშების მხატვრულად კითხვაში; ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა– ,,ილია ჭავჭავაძის პერსონაჟები ჩემს მხატვრობაში“; ინსცენირებების საღამო–თეატრალიზებული დადგმები ილიას პოეტური და პროზაული ნაწარმოებებისა; თეორიული კონფერენცია ,,ილია ჭავავაძის ცხოვრება და შემოქმედება“
- სასახლე ჩართული იყო ხრესილის ომის 260–ე წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მითითების შესაბამისად თეორიული კონფერენცია ,,ხრესილის ომი–260“ სასახლეში ჩატარდა. ორი დღის (11–12 დეკემბერი) მანძილზე იცავდნენ უფროსკლასელები წარმოდგენილ რეფერატებს. თორმეტივე მონაწილე ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა
- სასახლის აქტივისტებმა გაზაფხული და ქალთა დღე მიულოცეს სოციალურად დაუცველ ქალბატონებს
- მხატვრული კითხვის წრის წევრებმა მოაწყვეს პოეზიის საღამო ,,ჩვენი საჩუქარი დედებს
- ბიო–ეკოლოგიის კლუბმა ეკო–ჰაბში ჩაატარა ლექცია–საუბარი ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით
- 13 აპრილს სასახლის აღსაზრდელებმა აღნიშნეს ენის დღე ,,ენა დედაა ერისა“
- ენის სიწმინდის დაცვას მიეძღვნა ე.წ. თამაში ,,სწორია, არასწორია“
- გამარჯვების 73–ე წლისთავს მიეძღვნა ლიტერატურული კომპოზიცია ,,არ დავიწყება მოყვრისა“
- მოეწყო ინტელექტუალური შემეცნებითი თამაშის ,,რა, სად, როდის?“ ფინალური ტური. სასახლის გარდამავალი თასი აიღო კურსების საჯარო სკოლის გუნდმა
- ტრადიციად დავამკვიდრეთ ,,ვეფხისტყაოსნის“ ხმამაღალი კითხვა. ეს დღესასწაული პირველად გაიმართა თანამშრომელთა და უფროსკლასელთა მონაწილეობით
- ლიტერატურულ სალონში ჩატარდა ლიტერატურულ–მუსიკალური კომპოზიცია ,,სულში ჩაიხედე, სული ცინცხალია“

2018 წლის 1 აგვისტოდან ფუნქციონირებას შეუდგა ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება“, რეორგანიზაციის შედეგად გაერთიანებაში 2018 წლის 5 აგვისტოდან დასაქმებულია 200 თანამშრომელი.







2018 წლის აგვისტოდან - იანვრამდე განხორციელებული აქტივობები/ღონისძიებები:

საკლუბო და საბიბლიოთეკო განყოფილება:

- სოფელ საწირის კულტურის სახლი და ხრესილის ბიბლიოთეკა ღონისძიებით გამოეხმაურა აგვისტოს ომის თემას
- გელათის N1 სასოფლო კლუბში 21 სექტემბერს გაიმართა ღვთისმშობლობისადმი მიძღვნილი თეოლოგიური საღამო
- 13 ნოემბერს სოფელ საწირის კულტურის სახლში მოეწყო თეატრალიზებული საღამო ,,შემოდგომის ზღაპარი“
- 28 დეკემბერს სოფელ ძმუისის კლუბში გაიმართა საახალწლო კარნავალი
- სოფელ სოჩხეთის ბიბლიოთეკაში 25 სექტემბერს ჩატარდა პოეზიის საღამო ,,პოეზია უპირველეს ყოვლისა“, - ქართველი პოეტების შემოქმედების მიხედვით
- N1 საბავშვო ბიბლიოთეკამ 26 სექტემბერს უმასპინძლა პირველკლასელებს
- N2 საბავშვო ბიბლიოთეკაში 25 დეკემბერს გაიმართა საბავშვო საახალწლო კარნავალი
- 24 აგვისტოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეშახტის დღესთან დაკავშირებით მოეწყო ექსკურსია და გაიმართა დისკუსია თემაზე ,,ქვანახშირის მოპოვება და მისი წარმოება“.

შოთა რუსთაველის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე:

- 25 სექტემბერი – თოჯინების თეატრის სპექტაკლი ,,თოჯინები მღერიან, ცეკვავენ და იცინიან“
- 1 ოქტომბერი – პირველკლასელთა კურთხევა სასახლეში ,,გვიხმობს, გვეძახის მშობლიური სასახლე“
- 15-22 ოქტომბერი – დოკუმენტური ფილმების კვირეული–საბავშვო ფილმების ჩვენება
- 24 ოქტომბერი – კლიმატის საერთაშორისო დღე – ლექცია საუბარი
- 7 ნოემბერი –,,ფოთოლცვენა“– მხატვრული კითხვის წრის წევრთა დილა ბუნების წიაღში
- 13 ნოემბერი – ,,ვინ მეტი იცის“– სახალისო მათემატიკის წრის წევრთა მათემატიკა
- 15 ნოემბერი– დოკუმენტური ფილმის ჩვენება–განხილვა
- 24 ნოემბერი – ქ. თბილისში, ეროვნულ სასახლეში, ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-19 შეკრებაში მონაწილეობა
- 4–5 დეკემბერი – ინტელექტუალური თამაშის ,,რა, სად, როდის “ შესარჩევი და დასკვნითი ტური
- 24 დეკემბერი – ,,ჯადოსნური სიზმრის ქვეყანაში“ –ბავშვთა გაერთიანება ,,ანა–ბანას“ საახალწლო სპექტაკლი
- 25 დეკემბერი – უმცროს კლასელთა საზეიმო დილა ,,გილოცავთ, გილოცავთ, ახალ წელს გილოცავთ“

- 28 დეკემბერი – უფროსკლასელთა საახალწლო საღამო ,,სამშობლოვ, შენი კერის მეკვლე ვარ“

მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა:

- 20 ნოემბერი – ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეთა მონაწილეობა ქალაქ ქუთაისში გამართული ქორეოგრაფიულ ფესტივალი
- 17 დეკემბერი – ვოკალური განყოფილების მოსწავლეთა კონცერტი
- 21 დეკემბერი – ხალხურ საკრავთა განყოფილების მოსწავლეთა კონცერტი
- 25 დეკემბერი – ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეთა კონცერტი
- 28 დეკემბერი – საახალწლო შემაჯამებელი კონცერტი

სამხატვრო სკოლა:

- 25 ოქტომბერი – მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა შემოდგომის თემაზე
- 7 ნოემბერი – ,,პლენერზე ხატვა“ - გელათის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე
- 27 დეკემბერი – შიდა სასკოლო გამოფენა თემაზე - ,,ახალი წელი“

მუნიციპალური თეატრი:

- 14 სექტემბერი – საბავშვო სასულიერო თეატრ სტუდია ,,ნატვრისთვალის“ ღონისძიება - ,,ვამთავრებთ თამაშს ვიწყებთ სწავლას“
- 1 ოქტომბერი – სახალხო დღესასწაული ,,მურყანვაზობა“ – მუნიციპალური თეატრის ქორეოგრაფიული ანსამბლების ჩართულობით
- 2 და 7 ნოემბერი – გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა - ,, აქ სადღაც
- 26 ნოემბერი – ილია II ღვაწლისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი ,,მოუარეთ საქართველოს“
- 13 დეკემბერი – გაიმართა სპექტაკლი ,,ჭირვეულა“
- 26 დეკემბერი – ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი ,, ნაცარქექია“

ტურიზმის განვითარების ცენტრი:

- 11 ოქტომბერი – ტურისტული ობიექტების ფოტო–გამოფენა ალექსანდრე ბასილაიას სახელობის სკვერში
- 30 ოქტომბერი – ტურიზმის ცენტრის თანამშრომელთა შეხვედრა სოფელ გელათში, ტურიზმის სფეროში მომუშავე ადგილობრივ ბიზნესმენებთან.
- 13-14 დეკემბერი – ორდღიანი ტური ცუცხვათის მღვიმეში

საინფორმაციო განყოფილება:

- ახორციელებს გაერთიანებასა და მუნიციპალიტეტსი მიმდინარე ღონისძიებებისა და აქტივობების მუდმივ გადაღება–გაშუქებას

გაერთიანების ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანებამ „CHOOSE TKIBULI - აირჩიე ტყიბული“ - ფართომასშტაბიანი კამპანია დაიწყო.

საიმიჯო Facebook და Instagram პლატფორმა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენასა და საზოგადოებისთვის მის გაცნობას ემსახურება.

კამპანია ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებას და მის ფარგლებში არაერთი ახალგაზრდული ღონისძიება ეწყობა.

„CHOOSE TKIBULI - აირჩიე ტყიბული“ ღიაა თანამოაზრეებისა და მხარდამჭერებისათვის და მისი სლოგანია -აირჩიე ქალაქი, რომელიც გელოდება.

ა.(ა).ი.პ. "ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების" კამპანიის - „Choose Tkibuli - აირჩიე ტყიბული“ ფარგლებში კინოჩვენებების პროექტი, - “Cinema Paradiso” ხორციელდება. პროექტი ახალგაზრდების ერთ სივრცეში თავმოყრას, მათი ცნობიერების ამაღლებასა და გართობისა და შემეცნების პოზიტიური ალტერნატივის შეთავაზებას ემსახურება. 20 სექტემბრიდან, კვირაში ორჯერ, საბავშვო და ზრდასრულთა კინო ჩვენებები იმართება და დასწრების ღირებულება, სიმბოლურად - 1 ლარია. CINEMA PARADISO ადგილობრივი ახალგაზრდებისა და კინომატოგრაფიის დამეგობრებას უწყობს ხელს.

გაერთიანებამ დაანონსა პროექტი - მოგზაურთა ახალგაზრდული ბანაკი „წეროები“. „წეროები“ ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის გაცნობას, გამოვლენასა და ახალგაზრდებისთვის ტურისტული და სამოგზაურო ცნობიერების ამაღლებას მოემსახურება. პროექტის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები ტყიბულის გაცნობასა და მისი საინტერესო მხარეების აღმოჩენას შეძლებენ. ასევე, მოგზაურობისთვის საჭირო ყველა უნარ-ჩვევას შეისწავლიან.

3 ოქტომბერს, გაერთიანებამ უმასპინძლა კლოუნების ჯგუფს გერმანიიდან, რომლებიც მართავდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით პერფორმანსებს. "კლოუნები საზღვრების გარეშე" არის ხელოვანთა ინიციატივა და იდეა, იუმორითა და სიცილით უკეთესობისკენ შეცვალოს ბავშვების ემოციური მდგომარეობა. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ლელა ეხვაია.

8 დეკემბერს, მაყვალა ქასრაშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზში ქართულ-ფრანგულ ფოკლორულ ანსამბლს, - "კამილიას" ვუმასპინძლეთ. პირველად, ტყიბულის მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა, ერთი საღამოს ფარგლებში მოიესმინა ფრანგული რენესასისა და ქართული ფოლკლორის კოლაბორაცია.

ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანებამ» ახალი პროექტი - „თავისუფლების სკოლა“ დაიწყო და ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა 16-დან 18-წლამდე ბავშვისთვის მონაწილეობის კონკურსი გამოაცხადა. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ლექციებსა და სემინარებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პიროვნება და საზოგადოება; მრავალფეროვანი გარემო; მშვიდობიანი თანაარსებობა; კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა; სახელმწიფო და სამართალი; სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა; დემოკრატია და ა.შ. სკოლის მიზანი ახალგაზრდებში თავისუფალი აზროვნების განვითარება და სკოლისგარეშე აქტივობების წახალისებაა. პროექტში მონაწილეობის სურვილი პირველ ეტაპზე 40-მდე ახლგაზრდამ გამოთქვა. მეორე ეტაპისთვის შერჩეული 25 მონაწილიდან, გასაუბრების შედეგად, თავისუფლების სკოლის მიზნებიდან გამომდინარე, ახალგაზრდების მოტივაციისა და მომზადების დონის შესაბამისად შეირჩა 16 მონაწილე. დღეს სკოლა უკვე ყოველკვირეულ ლექციებსა და სემინარებს ატარებს.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო